განკარგულება:**g-31. 31243596**
თარიღი:**24/12/2024**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №63

2024 წლის 24 დეკემბერი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ნანა ურუშაძე - ძიმისტარიშვილისთვის (პ/ნ 61001021917) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ნანა ურუშაძე - ძიმისტარიშვილს (პ/ნ 61001021917) გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, სოფელ ჩოჩხათში მე-4 ქუჩა N45-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ27.13.43.001.01.009) საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული 23,91 კვ.მ. ფართი.

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, სოფელ სუფსაში მე-6 ქუჩა N2ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ27.15.52.294.01.506) საკადასტრო კოდზე რეგისტრირებულ 28.30 კვ.მ.

მუხლი 2. პირველი მუხლით გათვალისწინებული უძრავი ქონება, ნანა ურუშაძე - ძიმისტარიშვილს (პ/ნ 61001021917) სარგებლობის უფლებით გადაეცეს 2 (ორი) წლის ვადით, ხოლო უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობად განისაზღვროს:

ა) სოფელ ჩოჩხათში მე-4 ქუჩა N45-ში (ს/კ27.13.43.001.01.009) მდებარე შენობა-ნაგებობა საბაზრო ღირებულების 4 351,62 (ოთხიათას სამასორმოცდათერთმეტი ლარი და სამოცდაორი თეთრი) ლარის 35%-ის ოდენობით რაც შეადგენს 1 523,10 (ათას ხუთასოცდასამი ლარი და ათი თეთრი), ლარს.

ბ) სოფელ სუფსაში მე-6 ქუჩა N2ში (ს/კ27.15.52.294.01.506) მდებარე შენობა-ნაგებობა საბაზრო ღირებულების 6078 (ექვსიათას სამოცდათვრამეტი) ლარის 20%-ის ოდენობით რაც შეადგენს 1 519,5 (ათასხუთას ცხრამეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარს.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N26 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი